ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №13

ქ. ბათუმი

8 თებერვალი 2016 წელი

ერთის მხრივ სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო-ს დირექტორი მირანდა ჩარკვიანის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, - სს „ დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო" წარმომადგენელი გაყიდვების და მარკეტინგის დივიზიონის დირექტორის ანდრო ხუხუნაიშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება "– ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევა შემდგომში „მომსახურება" CPV კოდი 66500000.

მუხლი 3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

3.2. ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი - გოჩა კახიძე.

3.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

მუხლი 4. მომსახურების გაწევის ვადა

4.1. მიმწოდებელმა მომსახურების გაწევა უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2017 წლის 1 თებერვლის ჩათვლით.

მუხლი 5. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ფასი მოცემულია დანართ N2-ში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

5.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 1674 ლარი 40 თეთრი) ლარს („ხელშეკრულების ღირებულება").

5.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.
5.4. ხელშეკრულების ღირებულების გადახდა განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
5.5. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს მომსახურების დასრულების ვადას.
5.6. მიმწოდებელი ვალდებულია აგრეთვე შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს ინვოისი (ანგარიში), სადაც მითითებული იქნება ხელშეკრულების ნომერი, თარიღი, შესასყიდი ობიექტის დასახელება და ღირებულება, აღნიშნული ინვოისის (ანგარიშის) წარმოდგენიდან ანაზღაურება განხორციელდება 10 საბანკო დღის განმავლობაში.
5.7. ინვოისი (ანგარიში) წარმოდგენილი უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში.

მუხლი 6. მხარეთა უფლება–მოვალეობები.

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას გაწეული მომსახურება;
6.2. მიმწოდებელი ვალდებულია ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;

მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის (ან არაჯეროვნად შესრულების) შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,5%-ის ოდენობით, შეუსრულებელი ვალდებულების ყოველი დღისათვის.
7.2. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,1%–ის ოდენობით.
7.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს არც ერთ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
7.4. იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური ოდენობა შეადგენს ხელშეკრულების ფასის 15%–ს მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად გაწყვიტონ ხელშეკრულება.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10% - ზე მეტი ოდენობით.
8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8.5. მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა [illegible] ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 9. დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

9.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 1 აპრილის ჩათვლით.

მუხლი 12. ზოგადი დებულებები

12.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

12.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ორი ეგზემპლარი შემსყიდველს).

მუხლი 13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	*„მიმწოდებელი"*
სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო	სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო"
მისამართი: ქ. ბათუმი, ლ.გუდიაშვილის ქუჩა N4	ქ.თბილისი, ბოჭორიშვილის 88/15
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა	სს „ ბანკი რესპუბლიკა"
ბანკის კოდი – TRESGE22	ბანკის კოდი-REPL GE22
740407499	ა/ა GE70BR0000003608104958
საიდენტიფიკაციო კოდი - 245631455	საინდეტიფიკაციო ნომერი:205023856
სააგენტოს დირექტორი	გაყიდვების და მარკეტინგის დივიზ. დირექტორი
/მ.ჩარკვიანი/ ბ. ა.	/ა.ხუხუნაიშვილი/ ბ.ა

დანართი N2

ავტოსატრანსპორტო საშუალების ფასების ცხრილი

N	დასახელება	სადაზღვევო თანხა (ლარებში)	სადაზღვევო პრემია (ლარებში)
1	MITSUBISHI L200; სახ. №FPF -881; გამოშვების წელი 2010; ძრავის მოცულობა 2477; ფერი - თეთრი.	23320 ლარი	991.2 ლარი
2	KIA SPORTAGE; სახ № TTS 526; გამოშვების წელი 2011: ძრავის მოცულობა 2000; ფერი-რუხი2/8	14520 ლარი	683.2 ლარი
	სულ:	37840 ლარი	1674.4 ლარი

1. მესამე პირთა წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა ლიმიტი 5 000 ლარი თითოეულ ავტომობილზე.

2. მძღოლებისა და მგზავრების დაზღვევა უბედური შემთხვევებისაგან ლიმიტი 10 000 ლარი (ქველიმიტი-2000) ლარი თითოეულ ავტომობილზე.

შენიშვნა: გაურკვეველ ვითარებაში დაზიანება - 150$, სხვა შემთხვევაში - ზარალის 5% მინ. 150 ლარი , სრული განადგურება: სადაზღვევო თანხის 10%

შემსყიდველი:

---------- ბ.ა

ხელმოწერა

მიმწოდებელი:

---------- ბ.ა

ხელმოწერა